KA015581943282217

საქართველო, თბილისი, 0105; სანაპიროს ქ. № 2
ტელ.: +995 32 2 405 405
info@psh.gov.ge
www.psh.gov.ge

№ 1438

28 / ივნისი / 2017 წ.

სსიპ - სოციალური
მომსახურების სააგენტოს
დირექტორს,
ბატონ ზაზა სოფორმაძეს

ბატონო ზაზა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ - იუსტიციის სახლის (შემდგომში - იუსტიციის სახლი) აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 17 მაისის №312/ს ბრძანების საფუძველზე, იუსტიციის სახლის ცნობადობის გაზრდის მიზნით, ხორციელდება პროექტი, „კეთილი იყოს შენი მობრძანება“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო), იუსტიციის სახლსა და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის 2016 წლის 8 ივნისს დაიდო ხელშეკრულება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე არსებული ზოგიერთი ინფორმაციის სსიპ - იუსტიციის სახლისათვის მიწოდების შესახებ. ხელშეკრულების შესაბამისად, 2016 წლის 17 ოქტომბრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე, სააგენტო უზრუნველყოფდა იუსტიციის სახლისათვის სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიწოდებას.

გაცნობებთ, რომ „სსიპ - იუსტიციის სახლში პროექტის - „კეთილი იყოს შენი მობრძანება“ განხორციელების შესახებ“ სსიპ- იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 17 მაისის №312/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 27 ივნისის №351/ს ბრძანების საფუძველზე პროექტის განხორციელების ვადა შეიცვალა და განისაზღვრა 2016 წლის 17 ოქტომბრიდან 2018 წლის პირველ ივლისამდე პერიოდი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გაგრძელდეს ჩვენს შორის 2016 წლის 8 ივნისს დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა პროექტის განხორციელებისათვის დადგენილი ვადით - 2018 წლის პირველ ივლისამდე.

დანართი: სსიპ - იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2017 წლის 27 ივნისის №351/ს ბრძანება „სსიპ - იუსტიციის სახლში პროექტის - „კეთილი იყოს შენი მობრძანება“ განხორციელების შესახებ“ სსიპ-იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის 2016 წლის 17 მაისის №312/ს ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

პატივისცემით,

სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი
დირექტორი

გივი აზაურაშვილი